ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲜᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 45-Ე ᲬᲚᲘ. | № 148 (12964) | ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 26 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1964 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ Ⲛ. Ⲥ. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲛᲐᲓ ᲒᲔᲢᲔᲑᲝᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲠᲐᲢᲣᲨᲐᲨᲘ

ᲒᲔᲢᲔᲑᲝᲠᲒᲘ, 25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲯᲔᲓᲘᲡᲘ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.). ᲒᲣᲨᲘᲜ ᲐᲥ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲠᲐᲢᲣᲨᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲔᲢᲔᲑᲝᲠᲒᲘᲡ ᲮᲚᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲗ ᲙᲐᲒᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ Ⲛ. Ⲥ. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲛᲐᲓ. ᲐᲡᲝᲛᲘᲗ ᲙᲐᲪᲘ ᲨᲔᲘᲙᲠᲑᲐ ᲧᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲣᲠᲜᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ შესახვედრად. მათ შორის იყვნენ გეტებორგსა და ᲑᲝᲩᲣᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ Პ. ᲜᲘᲝᲣᲡᲢᲐᲠᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ტ. ᲥᲔᲒᲚᲣᲜᲓᲘ, ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ, „ᲒᲔᲢᲐᲕᲔᲠᲙᲘᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲒᲔᲛᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ე. ᲚᲣᲜᲓᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲩᲝᲡᲗᲐ ᲬᲕᲠᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ.

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ტ. ᲥᲔᲒᲚᲣᲜᲓᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲗᲚᲐᲓ ᲛᲘᲪᲘᲡᲐᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ. ᲛᲐᲜ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲤᲘᲠᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲡᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲛᲔᲡᲘᲜᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲜᲘᲡᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

ტაილანდის მთავრობის პასუხი ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე

ბოლოდ ტაილანდის პრემიერ-მინისტრის ფელდმარშალ ტანომ კიტიკაჩონის პასუხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის იმ წერილზე, რომელიც 1963 წლის 31 დეკემბერს გაეგზავნათ მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებს.

თავის წერილში ტ. კიტიკაჩონი აღნიშნავს, რომ მან გულმოდგინედ შეისწავლა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი, რომელშიც წამოყენებულია წინადადება დიდოს საერთაშორისო შეთანხმების, რომლის თანახმად ყველა სახელმწიფო ვალდებულებას იკისრებს არ გამოიყენოს ძალა ტერიტორიული დავისა და სასაზღვრო საკითხების გადასაწყვეტად. „ჩვენ, ისევე როგორც თქვენ, — ნათქვამია პასუხში, — მტკიცედ გვწამს, რომ ძალის გამოყენება ტერიტორიული დავის გადასაწყვეტად არ შეეხსნებამება არც ერთი ხალხისა და არც ერთი ქვეყნის ნამდვილ ინტერესებს. საერთაშორისო პოლიტიკაში ყოველთვის იდეალად ითვლებოდა, რომ ტერიტორიული კონფლიქტის გადასაჭრელად გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდები".

ტაილანდის მთავრობა აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მოითხოვს არა მარტო ტერიტორიული დავის, არამედ ყველა სხვა საერთაშორისო კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას და აცხადებს, რომ იგი „სავსებით უმერს მხარს ზემოაღნიშნულ პრინციპს და ამიტომ მიესალმება ყოველ ნამდვილ ღონისძიებას, რომელიც შეესაბამება ამ პრინციპის არსს და ხელს უწყობს მის პრაქტიკულ გამოყენებას. წინადადება, რომელსაც თქვენი წერილი შეიცავს, სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია".

ამავე დროს წერილში საქმე ისევ დასახული, თითქოს ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობანი „უკანონო" და „ძარგამომხრელი" იყოს.

დასასრულ ტ. კიტიკაჩონი წერს, რომ „ხელშეკრულების ან შეთანხმების მიზნის მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ მისი ხელმოწერით. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაშიც არის აღნიშნული, საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოების ნამდვილ მისწრაფებას სავსებით შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი".

ჩვენი პლანეტის დღეები

ლონდონი ჯიუტობს

ნიუ-იორკი, 25 ივნისი. (საკდესი). ტესფაე გაბრე-ეგზიმ (ეთიოპია), რომელიც მონაწილეობას იღებდა ლონდონის მოლაპარაკებაში საბრძოლ როდეზიის შესახებ, როგორც წევრი 24 სახელმწიფოს სპეციალური კომიტეტის დელეგაციისა, განაცხადა, რომ მოლაპარაკება სრულიად ჩაიფუშა ინგლისის მთავრობის პოზიციის გამო. სპეციალურმა კომიტეტმა, რომელმაც ამოწერა მთელი თავისი შესაძლებლობანი, ხაზგასმით აღნიშნა მან, უნდა მოითხოვოს, რომ მოიწვიონ უშიშროების საბჭოს სხდომა საბრძოლ როდეზიის კრიზისული მდგომარეობის განსახილველად.

ყარაულის შეცვლა

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი გ. ფრიმენი იუწყება: გენერალ მაკსუელ ტეილორის დანიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად სამხრეთ ვიეტნამში აქ ისე აღიქვეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ განაგრძონ „ბინძური ომი" სამხრეთ ვიეტნამში.

ტეილორი, რომელსაც უკანასკნელ დრომდე შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა, — პროფესიონალი სამხედროა. იგი კარგად იცნობს შორეულ აღმოსავლეთს. 1939 წელს ტეილორი სამხედრო ატაშეს თანაშემწე იყო ჩინეთში, 1953 წელს სარდლობდა ამერიკის მერვე არმიას კორეაში, 1954 წელს სარდლობდა ამერიკის სახმელეთო ჯარებს შორეულ აღმოსავლეთში, ხოლო 1955 წელს — ამერიკის შეერთებული შტატების მთელ სამხედრო შენაერთებს შორეულ აღმოსაგლეთში. გენერალ ტეილორს გამოცდილება არა აქვს დიპლომატიურ სფეროში. შეიძლება, პრეზიდენტმა ჯონსონმა სწორედ ამ მიზეზით დანიშნა ელჩის მოადგილედ სამხრეთ ვიეტნამში უ. ალექსის ჯონსონი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის ძველი მუშაკია.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ტეილორს „ამერიკის შეერთებული შტატების დამცველი ძალების" შექმნაში ძირითადი დამსახურება მიეძღვის. ამ ძალების ამოცანები უკანასკნელ ხანს გაფართოდა, მასვე მიაწერენ ამერიკის ინფორმაციისა და პარტიზანთა წინააღმდეგ ოპერაციების განმახორციელებელი საგანგებო ძალების განმტკიცებასა და მოდერნიზაციას.

გენერალმა ტეილორმა სახელმწიფო მდივან რასკთან, თავდაცვის მინისტრ მაკნამარასა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ამას წინათ ჰონოლულუში გამართულ თათბირში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის საკითხებზე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

მშვიდობის გზით

ინდოეთის ვაჭრობის მინისტრის პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 25 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის ვაჭრობის მინისტრმა მანუბჰაი შაჰმა განაცხადა პრეს-კონფერენციაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ შესტრის მთავრობა „სავსებით დაიცავს ნერუს პოლიტიკას, იქნება ეს მიუმხრობლობის საკითხები, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა".

შაჰმ, რომელიც ინდოეთის დელეგაციას შეთაურობდა ვაჭრობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ ჟენევის საერთაშორისო კონფერენციაზე, ამ კვირის დამდეგს მოლაპარაკებას აწარმოებდა ვაშინგტონში ამერიკა-ინდოეთის ვაჭრობის საკითხებსა და კონფერენციის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ პრობლემებზე.

შაჰმა გამოთქვა კმაყოფილება სოციალისტურ ქვეყნებთან ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობის გამო. მან დიდად შეაფასა სოციალისტური ქვეყნების ზვლილი ჟენევის კონფერენციაში, განსაკუთრებით მათი კონკრეტული დაპირება, რომ 1980 წლისათვის გაადფართოებენ ვაჭრობას განვითარებულ ქვეყნებთან.

გულგარელ და გელგიელ კომუნისტთა მოლაპარაკება

სოფია, 25 ივნისი. (საკდესი). აქ გამართა ბულგარეთში მყოფი ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციისა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის მოლაპარაკება. დელეგაციებს მეთაურობდნენ პარტიის თავმჯდომარე ურნესტ ბიერნელი და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი.

როგორც ბულგარეთის დელეგაციის დეპეშათა საბაგენტო იუწყება, ე. ბიერნელმა მოლაპარაკების დროს ბულგარეთის მხარეს გააცნო ბელგიის კომპარტიის მუშაობა და ამოცანები, აგრეთვე მისი პოზიცია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ საკითხებში.

ტ. ჟივკოვმა ბელგიელი კომუნისტების წარმომადგენლებს უამბო, თუ როგორ ხელმძღვანელობს ბულგარეთის კომპარტია სოციალიზმის მშენებლობას ბულგარეთში, რი პოზიცია უკავია ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თანამედროვე პრობლემებში.

დელეგაციებს შეხვედრა მიმდინარეობდა გულთბილი მეგობრობის, ერთობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

შეხვედრები ინდონეზიაში

ჯაკარტა, 24 ივნისი. (საკდესი). წუხელ ა. ი. მიკოიანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები შეხვდნენ „ინდონეზია-სსრ კავშირის" მეგობრობის საზოგადოების წევრებს.

სიტყვა წარმოთქვა ინდონეზიის პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ. და საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიომ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად ინდონეზიასა და სსრ კავშირს შორის დამყარდა მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა, რასაც საფუძველად უდევს ამ ქვეყნების საერთო მიზნები მშვიდობისათვის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სამართლიანი, აყვავებული საზოგადოების მშენებლობაში.

ვრცელი მკაფიო სიტყვა წარმოთქვა ა. ი. მიკოიანმა, რომელსაც შეერებინენი გულთბილად შეხვდნენ. საბჭოთა ხალხის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა „ინდონეზია-სსრ კავშირის" მეგობრობის საზოგადოების წევრებს. ა. ი. მიკოიანმა ილაპარაკა საბჭოთა ხალხის ბრძოლაზე მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის. მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, თერმოტოური ომის საფრთხის წინააღმდეგ. ა. ი. მიკოიანმა გამარჯვება უსურვა ინდონეზიელ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

ჯაკარტა, 25 ივნისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ნ. პოზდნიაკოვი და ვ. მატიანში იტყობინებიან: დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, ეწვია ინდონეზიის რესპუბლიკის ურთიერთთანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენელთა საბჭოს (პარლამენტი) და დაესწრო პარლამენტის სპეციალურ სხდომას.

დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმის გამო, რომ ინდონეზიაში ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირის პარლამენტის დელეგაცია, გაგაცნოთ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეობის შემსრულებელმა სუბანდიომ. თქვენი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში ჩვენი ხალხების სულ უფრო მტკიცე მეგობრობის ახალი დადასტურებაა. ჩვენი ქვეყნების მტკიცე მეგობრული ურთიერთობა ორი ხალხის მიზნებისა და მისწრაფებათა ერთობის ლოგიკური შედეგია, ხალხებისა, რომლებიც ისწრაფვიან ამშენონ ახალი მსოფლიო, სადაც არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ერთი ერის მიერ მეორე ერის ექსპლოატაცია. ინდონეზიის ხალხი დიდად აფასებს იმ დახმარებას, რომელსაც საბჭოთა ხალხი უწევს.

ექვი არ გეეპარება, თქვა შემდეგ სუბამიმ, რომ მომავალშიც ჩვენი ხალხები მხარდამხარ იდგიან საერთო მიზნებისაკენ, გააძლიერებენ ახალი განვითარებადი ძალების ერთიან ფრონტს.

სუბამიამ პარლამენტის დეპუტატებს წარუდგინა საბჭოთა დელეგაციის წევრები, მოკლედ შეეხო ინდონეზიის პარლამენტის მდგომარეობას რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში.

პარლამენტის სხდომაზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ა. ი. მიკოიანმა. დელეგაციის სახელით მან მხურვალე მადლობა უძღვნა ინდონეზიელ პარლამენტარებს გულთბილი მიღებისათვის. ა. ი. მიკოიანმა მაღალი შეფასება მისცა იმ როლს, რომელსაც ინდონეზიის რესპუბლიკა, მისი ხელმძღვანელები, და კერძოდ პრეზიდენტი სუკარნი ასრულებენ მსოფლიოს მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირებაში იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ა. ი. მიკოიანმა აღნიშნა, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები, მიუხედავად მათ შორის არსებული უთანხმოებისა, ერთიანი ფრონტით გამოდიან იმისათვის. ბრძოლაში, რომ შეინარჩუნონ თავიანთი კოლონიური პოზიციები აზიისა და აფრიკის იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც სრული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, და გაერთიანება ბისათვის მოუწოდა მთელ პროგრესულ ძალებს მსოფლიოში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა დაგმო ინგლისის მისწრაფება შეინარჩუნოს თავისი კოლონიური ბატონობა ჩრდილოეთ კალიმანტანში მალაიზიის შექმნის გზით და მხარი დაუჭირა ინდონეზიის პოზიციას, რომელიც იბრძვის ინგლისის ნეოკოლონიალიზმის ლიკვიდაციისათვის ამ რაიონში.

თავისი სიტყვის დასასრულს ა. ი. მიკოიანმა გამარჯვება უსურვა ინდონეზია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი პროგრესული ძალების ერთობას.

ჯაკარტა, 25 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღისით ა. ი. მიკოიანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები ინდონეზიის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის საარიოს თანხლებით იყვნენ მეგობრობის ჰოსპიტალში, რომელიც საჩუქრად აუშენა საბჭოთა კავშირმა ინდონეზიელ ხალხს ჯაკარტის გარეუბანში.

ა. ი. მიკოიანმა და დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ჰოსპიტალი და მისი პოლიკლინიკა, იყვნენ დიდ, კარგად მოწყობილ პალატებში, დაათვალიერეს საექიმო კაბინეტები, ესაუბრნენ საბჭოთა და ინდონეზიელ ექიმებსა და სპეციალისტებს, რომლებიც ჰოსპიტალში მუშაობენ.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა საატრიმ ყველა ინდონეზიელი მედიკის სახელით, რომლებიც მეგობრობის ჰოსპიტალში მუშაობენ, მადლობა უძღვნა ა. ი. მიკოიანსა და დელეგაციის წევრებს ვიზიტისათვის. ინდონეზიელი მედიკები, რომლებიც ამ ჰოსპიტალში მუშაობენ, ცდილობენ გაამართლონ სახელწოდება, რომელსაც ჰოსპიტალი ატარებს, თქვა საატრიმ. ჩვენ ვამაყობთ, რომ ბევრ შეგზავნეგაში ეს გაკეთდა ჩვენი თანამშრომლობით. რა თქმა უნდა სამშინელია მსოფლიო ომი, საშიშროება არის. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ რომ არ იყოს „თერმოატომური ომი. ამასთან ჩვენ მივეხმაურებით განმათავისუფლებელ ომებს, როცა ისინი მიმართულია მზაგრეულთა წინააღმდეგ.

ამერიკაზე არ ვაპირებთ თავდასმას, აღნიშნა ა. ი. მიკოიანმა. მაგრამ თუ აგრესორები თავს დაეხსნიან საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირის მეგობრებს, მათ საკადრის პასუხს გავცემთ. თუ ცრუს დიდი სახელმწიფოების მშვიდობიან თანაარსებობას კაპიტალისმმა არ უნდა გამოიყენოს ზემოქმედება და როგორც ზემოქმედების ერთ-ერთი საშუალება — ომი პატარა ხალხების წინააღმდეგ. ჩვენ ვიბრძვით ამისათვის და მოვალეწეთ კიდეც აქას.

დასასრულ ა. ი. მიკოიანმა თქვა: ამერიკის შეერთებულ შტატებში არიან ეგრეთწოდებული „ცოფიანები", ისინი საშინი არიან. ამიტომ მშვიდობის ყველა მომხრე ფხიზლად უნდა იყოს, წინააღუდგეს ატომურ ომს, იბრძოლოს კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, ადამიანის მიერ ადამიანის, ხალხის მიერ ხალხის ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ამერიკის სესხი ბრაზილიას

ვაშინგტონი, 25 ივნისი. (საკდესი). შეერთებულმა შტატებმა ბრაზილიის მთავრობას მისცეს 50 მილიონი დოლარი სესხი. ეს სახსრები, ნათქვამია ამერიკის საერთაშორისო განვითარების სამმართველოს ცნობაში, ამ ქვეყანას ეძლევა „პროგრესისათვის კავშირის" პროგრამის საფუძველზე „სტაბილიზაციის, განვითარებისა და რეფორმებისათვის ბრაზილიაში".

ცოტა ხნით აღრე, სანამ სესხის მიცემას გამოაცხადებდნენ, ამერიკის პრესაში დაიბეჭდა სტატია, რომელიც ხოტბას ასხამდა ბრაზილიის „რევოლუციურ" მთავრობას.

ჩომგე კონგოში მიდის

ნიუ-იორკი, 25 ივნისი. (საკდესი). კატანგის „ყოფილი თვითმარქვია პრეზიდენტი ჩომბე, რომელმაც ესპანეთს შეაფარა თავი, გუშინ მადრიდიდან გაფრინდა კონგოში ბრიუსელის გაელით.

გაფრენის წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო, ჩომბემ განაცხადა, მივდივარ კონგოში, რომ იგი „სიღატაკისა და ანარქიისაგან" „გავათავისუფლოო". როგორც მისი განმარტებიდან ჩანს, ჩომბეს არ ეარეყვნა გაბედრაბეა ხელი იგდოს მთავრობაში. პოსტი და რეაქციის ძალები გააერთიანოს პატრიოტული გამთავისუფლებელი მოძრაობა წინააღმდეგ საბრძოლველად ალბერტვილში, აგრეთვე კატანგის სხვა რაიონებში.

ანზიუსის საგჭოს მომავალი თათბირი

ვაშინგტონი, 25 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გუშინ გამოაცხადა, რომ 17-18 ივლისს ვაშინგტონში გაიმართება ანზიუსის — ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სამხედრო ბლოკის საბჭოს სხდომა.

სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი იქნება საგელმწიფო მდივანი რასკი, ავსტრალიისა — საგარეო საქმეთა მინისტრი პოლ ჰეზლაკი, ახალი ზელანდიისა — პრემიერ-მინისტრი კეიტ ჰოლიოკი.

მსოფლიოს პიანისტთა მეფე

პარიზი, 25 ივნისი. (საკდესი). „მსოფლიოს პიანისტთა მეფე" უწოდა დღეს გაზეთმა „პარი-პრეს ინტერანსიჟანმა" სვიატოსლავ რიხტერს. ამ დღეებში იგი იმყოფება საფრანგეთის პატარა ქალაქ ტურში, რომლის მახლობლად მიმდინარეობს მუსიკალური ფესტივალი. სვიატოსლავ რიხტერს, რომელიც პირველად რადიოზე ითამაშებს მონაწილეობას მუსიკის ამ დღესასწაულში, პატივი დასდეს გაეხსნა ფესტივალი.

პარიზის დღევანდელი გაზეთები აღტაცებულ შეფასებას აძლევენ ს. რიხტერის „ტრიუმფალურ დებიუტს". „მისთვის დამახასიათებელი ძალითა და სინაზით", — წერს „ლუმანიტეს" რეცენზენტი, — ისეთი ტექნიკით, რომელიც ყოველგვარ ოსტატობას აღემატება", რიხტერმა შეასრულა სკრიაბინის, პროკოფიევისა და რაველის ნაწარმოებები.

საფრანგეთში ყოველთვის უდიდეს ინტერესს იჩენენ რიხტერის გამოსვლებისადმი. ეი სანტერესო დეტალი: საბჭოთა მსახიობის გამოსვლისათვის ხელი რომ არ შეეშალათ, მახლობლად განლაგებული სამხედრო-საჰაერო ბაზის სარდლობამ გააუქმა თვითმფრინავების გაფრენა.

ფესტივალი ერთ კვირას გაგრძელდება, მისი სტუმრები ინტერესით მოელიან მოსკოვის კამერული ორკესტრის კონცერტს რ. ბარშაის ხელმძღვანელობით. ფესტივალის უკანასკნელ დღეს კვლავ დაუკრავს რიხტერი — ამჯერად მოსკოვის კამერულ ორკესტრთან ერთად.

სკრენტონი და გოლდუოტერი

ნიუ-იორკი, 25 ივნისი. (საკდესი). პენსილვანიის შტატის „ზომიერმა" გუბერნატორმა სკრენტონმა—რესპუბლიკური პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების პრეტენდენტმა — მოითხოვა, რომ შეერთებულმა შტატებმა „თავისუფალ კუბელებს (იგულისხმება კუბელი კონტრრევოლუციონერები) გაუწიონ სრული ფინანსური, მორალური და პოლიტიკური დახმარება, რომელშიც შედის აგრეთვე კუბის ემიგრაციის ძალების ორგანიზება და შეიარაღება".

სიტყვა წარმოთქვა რა მაიამიში, სკრენტონმა დაფორმულა თავისი პროგრამა, რომლის მიზანია ფიდელ კასტროს მთავრობის დამხობა.

თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან სკრენტონი იმუქრებოდა, გოლდუოტერს წავართმევო იმ ხმების ნაწილს, რომლებიც ცოფიანთა ლიდერმა მიიღო თავისი საომარი, ცივი და ცხელი ომის სულისკვეთების სიტყვების საზღაურად.

სიკეთის სამაღლობელი

რომი, 24 ივნისი, (საკდესი). იტალიის მშვიდობისათვის მოძრაობის დელეგაცია ეწვია საბჭოთა კავშირის საელჩოს იტალიაში და ელჩს ს. ს. კოზირევს გადასცა იტალიის მშვიდობისმოძრაეთა წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი. წერილის გადაცემის დროს მოძრაობის თავმჯდომარემ სენატორმა ელეო სპანომ წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც ერეოვნად შეაფასა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებები, რომელთა მიზანია ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა.

ჩვენ, იტალიელები, თქვა სპანომ, გულწრფელ მადლობას ვუძღვნით საბჭოთა ხალხსა და მის მთავრობას, რომელსაც ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვი მეთაურობს ამისათვის, რომ ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ ომის საფრთხის აღმოსაფხვრელად და ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის საქმის გასაძარჯვებლად. მაგრამ გვესმის, რომ ასეთი ძნელი, თუმცა საბალტო ამოცანის გადასაწყვეტად, როგორიც არის კაცობრიობის ცხოვრებიდან ომის აღმოფხვრა, საჭიროა ყველა ქვეყნის, დედამიწის ყველა ხალხის ერთობლივი მეცადინეობა.

საბჭოთა ხალხმა, თქვა ელჩმა ს. ჰ. კოზირევმა, როცა საპასუხო სიტყვა წარმოთქვა, კარგად იცის, თუ რა არის ომი, და არ უსურვებს ამას არც საკუთარ თავსა და არც სხვებს. ამიტომ სსრ კავშირის მთავრობის ყველა დიპლომატიური აქცია, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ხალხთა ყველაზე დიდ სიკეთეს—მშვიდობის, ყველა ხალხის სიცოცხლისა და ღირსების დაცვას.

ქენევის თათბირზე

ჟენევა, (საკდესი). 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მორიგი სხდომა მიეძღვნა საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემას. ბულგარეთის დელეგატმა კარლო ლუკანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვა და რამდენად გადაუდებელია ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხის გადაჭრა. ამასთან დაკავშირებით ლუკანოვმა მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებას „რაკეტულ-ატომური ქოლგის" შესახებ, რომელიც ითვალისწინებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სსრ კავშირმა განიარაღების მესამე ეტაპის ბოლომდე მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით შეინარჩუნონ ატომური რაკეტები, რათა კომიტეტმა შეძლოს დაიწყოს იმ საკითხებია კონკრეტული განხილვა, რომლებიც გამოიწვია მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის ძირეული ცვლილება. სოციალიზმის ძალები, სოციალური პროგრესის ძალები ამჟამად უფრო ძლიერია და აღემატება კაპიტალიზმის ძალებს. ეს იმაა რიდი ნიშნავს, ხაში გაუსვა ა. ი. მიკოიანმა, რომ კაპიტალიზმი ფდეს იმდენად სუსტია, რომ ფეხზე ძლივს დგას, რომ საკმარისია უბიძგო და იგი წაიქცეს.

იმპერიალისტები თავით ფეხთამდე არიან შეიარაღებული, მაგრამ არც ჩვენი ხალხები არიან უიარაღო, თქვა ა. ი. მიკოიანმა. ვიფარებ შეიცვალა. არა მარტო სოციალისტურ ქვეყნებს, არამედ ბევრ განვითარებად ქვეყანასაც დიდი ძალა აქვს, ერთვნული არმიის იარაღი. ჩვენ ვამაყობთ, რომ ბევრ შეგზავნეგაში ეს გაკეთდა ჩვენი თანამშრომლობით. რა თქმა უნდა საშინელია მსოფლიო ომი, საშიშროება არის. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ რომ არ იყოს „თერმოატომური ომი. ამასთან ჩვენ მივეხმაურებით განმათავისუფლებელ ომებს, როცა ისინი მიმართულია მზაგრეულთა წინააღმდეგ.

ამერიკაზე არ ვაპირებთ თავდასმას, აღნიშნა ა. ი. მიკოიანმა. მაგრამ თუ აგრესორები თავს დაეხსნიან საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირის მეგობრებს, მათ საკადრის პასუხს გავცემთ. თუ ცრუს დიდი სახელმწიფოების მშვიდობიან თანაარსებობას კაპიტალისმმა არ უნდა გამოიყენოს ზემოქმედება და როგორც ზემოქმედების ერთ-ერთი საშუალება — ომი პატარა ხალხების წინააღმდეგ. ჩვენ ვიბრძვით ამისათვის და მოვალეწეთ კიდეც აქას.

დასასრულ ა. ი. მიკოიანმა თქვა: ამერიკის შეერთებულ შტატებში არიან ეგრეთწოდებული „ცოფიანები", ისინი საშინი არიან. ამიტომ მშვიდობის ყველა მომხრე ფხიზლად უნდა იყოს, წინააღუდგეს ატომურ ომს, იბრძოლოს კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, ადამიანის მიერ ადამიანის, ხალხის მიერ ხალხის ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

სურათებზე: მარცხნივ—კარაკასის ცენტრი, მარჯვნივ — ინდიელთა სოფელში.

საკდესის ფოტოკორონიკა.

სამართლიანი პროტესტი

ვაშინგტონი, 25 ივნისი. (საკდესი). ახლა ვაშინგტონში მიმდინარეობს ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის კონფერენცია. კონფერენციის 2.000-ზდე მონაწილემ გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სამინისტროს შენობის წინ გამართა საპროტესტო დემონსტრაცია მისისიპის შტატის ზანგი მოსახლეობის მიმართ ტერორისა და ძალადობის კამპანიის წინააღმდეგ.

ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის დელეგაცია აღმასრულებელი მდივნის როი უილკინსის მეთაურობით ეწვია იუსტიციის მინისტრს რობერტ კენედის და მოუწოდა განახორციელოს საჯარო ღონისძიებანი არა მარტო მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა დასაცავად, არამედ მისისიპის შტატის 985 ათასი ზანგის დასაცავადაც.

ინ. ტიტო ვარშავაში ჩავიდა

ბელგრადი, 25 ივნისი. (საკდესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი ი. ბროზ ტიტო დღეს ჰოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. გომულკასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ა. ზაკადსკის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა პოლონეთში.

ვარშავა, 25 ივნისი. (საკდესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი ოსიპ ბროზ ტიტო ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ვარშავაში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვლადისლავ გომულკასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ალექსანდრე ზაკადსკის მოწვევით.

ამერიკელ სტუდენტთა ბანდა

ნიუ-იორკი, 25 ივნისი. (საკდესი). ამერიკელ სტუდენტთა ბანდა, ეტლებზე ამაგრებული ბომბებით, ბანკებს ძარცვავს ბრაზილიის ქალაქ ბელო ორიზონტეში. ბანდიტებმა ბანკიდან ერთ-ერთ ეტლზე ბომბი ააფეთქეს, ეტლი ბანკის ეზოში ავარიულ მდგომარეობაში ამოყოფილ ბეტონის ბოძს ეჯახა, ბანკის ეზოში ბომბი ააფეთქეს, ბანკი ალმოდებულ ნგრევად ქცეულ ეტლებს ეკიდ

ცხოვრების პარადოქსები

ოსკარ უაილდი

ლედი უინდერმიერის მარაო — მცირე თეატრის სპექტაკლი

ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის ესთეტთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ფიგურაა. მან შექმნა ბურჟუაზიულ სულისშემხუთველ ატმოსფეროში მყოფი საზოგადოების სეფის გამომხატველი ესთეტიკა. მან ასწავლა ამ საზოგადოებას სინამდვილის საკუთარი წარმოდგენის, ფანტაზიის საშუალებით აღმა. საერთოდ კი უნაყოფოა ეძიოთ უაილდის აზროვნებაში ერმად მოფიქრებული იდეები, წარმოდგენოთ მათი მტკიცე სისტემა. უაილდის აზრი ცვალებადია, იგი ეშინაარდებგებს არა მარტო ზოგადად დადგენილს, არამედ საკუთარსაც. ყველაზე უფრო ეს თვისებები ვლინდება მწერლის დრამატურგიულ ნაწარმოებებში და კერძოდ მის კომედიაში — „ლედი უინდერმიერის მარაო".

უაილდი კარგად იცნობდა იმ ცხოვრებას, რომელსაც აღწერდა, კერძოდ ვიქტორიანული ეპოქის ინგლისელ არისტოკრატთა პირმოთნეობაზე და გარეგნულ პურიტანიზმზე აგებულ ურთიერთობას. ამიტომაც იყო, რომ იმაში, რაშიც სხვები ტრაგედიას ხედავდნენ, იგი კომიკურის და გალახტური ფარსის გარდა არაფერს არ ამჩნევდა. პიესაში — „ლედი უინდერმიერის მარაო" მან დაგვიხატა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მყოფი ქალის უუფლებო და უმწეო მდგომარეობა.

ოსკარ უაილდის ბრწყინვალე პარადოქსები ფარავენ შეურაცხყოფილი პიროვნების კვეთს, თუმცა ღრმად დრამატული სიუჟეტი მოულოდნელად კომიკური სახით წარმოგვიდგება. ოსკარ უაილდის კომედია „ზნეშეულებათა" ინტრიგის კომუდიაა, მასში უხვად გაბნეულია არა მარტო პარადოქსული აზრები საზოგადოებრივი მორალის, ზნეობის საკითხებზე, რომლებსაც პიესის გმირები მისის ერლეთი, ლორდ დარლინგტონი, ლორდ ლორტონი და სხვები გამოთქვამენ, არამედ თვით სიტუაციებიც პარადოქსული და მოულოდნელია.

მოსკოვის მცირე თეატრი რუსული რეპერტუარის საუკეთესო ინტერპრეტატორია, მაგრამ მისი სახელმოხვეჭილი კოლექტივი არანაკლებ ბრწყინვალედ წარმოადგენს საზღვარგარეთელ დრამატურგთა ნაწარმოებებსაც.

ამის ერთ-ერთი მაგალითია „ლედი უინდერმიერის მარაო". სპექტაკლის დამდგმელმა ვ. კომისარჟევსკიმ მშვენივრად შეგრძნო უაილდის თავისებური სტილი, პიესის ბრწყინვალე დიალოგებზე აგებული კომედიური სიმსუბუქე.

სპექტაკლში პირველივე მოქმედებიდან იგრძნობა იხვლისელი არისტოკრატიის ცხოვრების ატმოსფერო — უსაქმურობა, პედანტიზმი, გამაკილობა და მოსაწყენი, უაზრო, უმიზნო არსებობა. ლედი უინდერმიერის დაბადების დღეზე სტუმრად მოსული არისტოკრატები უსიცოცხლო თოჯინების, ფიტულების შთაბეჭდილებას ტოვებენ — მოკლე ჰაეის, აცუნცრუკებული, უნებისყოფო მოხუცი ავგუსტ ლორტონი (ე. ელიხოვი), ცინიკოსი, ადვე დაბერებული, სკეპტიკოსი, „ოქროს ახალგაზრდობის" წარმომადგენელი სესილ გრეხემი (ნ. პოდგორნი), ტუჩებაზუებული არისტოკრატები, საზოგადოების „ნაღები" — ლედი პლიმდელი (მ. ოჩინიკოვა), ლედი სტატფოლდი (ა. იარცევა), ლედი ჯედბერგი (ვ. ობუხოვა) და სხვანი. ისინი ლანდებივით დაბორიალებენ უინდერმიერების მდიდრულ და გემოვნებით მორთულ მინაში (მხატვარი ვ. დორერი), თვალყურს დევნებენ, ჰკიცხავენ, დასცინან ერთმანეთს და ყველაფერს ფარავენ მოჩვენებითი თავაზიანობით.

ამ საზოგადოების ღვიძლი შვილია ოსტატობას თან ერთვის როლის ღრმა გაგებრება და ყოველი დეტალის მოფიქრებული გამოყენება. ბერეიკი გახვევებული ქალიშვილს აგატა ქარლიზლისათვის (მსახიობი გ. ეგოროვა), რომელიც მხოლოდ იმის ფიქრშია, თუ როგორ მოიცალოს თავიდან დედის „მზრუნველობა", გათხოვდეს და განთავისუფლდეს ოჯახის დესპოტიზმისაგან.

პირმოთნეობის, მოჩვენებითი წესიერების ატმოსფეროში, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობს თავს ბელი რეპუტაციის მქონე მისის ერლეთი. ამ ქალმა ოდესღაც მიატოვა ოჯახი, შვილი და საზოგადოებამ მას ზურგი შეაქცია. ოცი წლის შემდეგ ლონდონში დაბრუნებული მისის ერლეთი მოხერხებულად იყენებს თავის ქალურ მიმზიდველობასა და ჭკუას, მანტაესაც კი არ ერიდება სიძის — ლორდ უინდერმიერის მიმართ, ოღონდაც საზოგადოებაში ძველი ადგილი და სახელი აღიდგინოს. მსახიობი ტ. ერემეევა გამოჩენისთანავე იპყრობს მაყურებელთა ყურადღებას. იგი დამცინავია, ცინიკური, კატასავით შეშპარავი. გრძნობთ, რომ გამობრძმედილა ცხოვრებასთან ჭიდილში. იგი დემონსტრაციულად შეურაცხყოფს სტუმრების მორალს; ვალსის ხმები აღოვვეენ მოულოდნელად დამდგარ სიჩუმეს, ის კი თითქოს არა გრძნობს ამ უხერხულობას, მხიარულად ჭიკჭიკებს და ვისაც კი ამოიღებს თვალში, იმორჩილებს, ატყვევებს თავისი მიმზიდველობით.

ტ. ერემეევა თამაშობს თავისუფლად, დრამატულ სცენებშიც არ ცდილობს აქცენტების გაკეთებას, გაურბის მელოდრამატულობას. მართალია, გარეგნული უხრუნველობის, ცინიზმის ქვეშ ზოგჯერ იელვებს ხოლმე მასში ცოცხალი ტკივილი, დედობრივი, ქალური გრძნობის ალი, მაგრამ კარგად გაწვრთნილი ადამიანის თავშეკავებულობა კვლავ იმარჯვებს... უთუოდ ტაქტით, ზომიერად თამაშობს მსახიობი ფინალურ სცენებს, ხაზს უსვამს პიესის ავტორის იმ აზრს, რომ დედობრივმა გრძნობამ დროებით იჩინა თავი, მაგრამ ცხოვრება თავისს მოითხოვს და დედა კვლავ კვალად ქალად იქცევა, გაურბის იმას, რაც მისთვის მხოლოდ პარადოქსი იყო.

ჩვენ არა გვქონდა საშუალება გვენახა ლედი უინდერმიერის როლში ცნობილი მსახიობი ე. ბისტრიცკაია. ამ როლის მეორე შემსრულებელი ნ. კორნიენკო ქალურად მოსახიბველია, მაგრამ მას როგორღაც შინაგანი ცეცხლი, გრძნობის გულწრფელობა აკლია.

ასევე, ჩვენი აზრით, შინაგანი განცდის სიღრმე აკლია მსახიობ ნ. ფაფასხეულაც ლორდ უინდერმიერის როლში. იგი მკრთალია, ამოვარდნილია სპექტაკლის საერთო განწყობილებიდან, მისი საერთო სტილიდან.

სამაგიეროდ დიდი ტაქტით, ძალდატანებლად და მსუბუქად გვიხატავს ლორდ დარლინგტონს ვ. კენიგსონი. იგი შესანიშნავად ატარებს დიალოგებს, დამაჯერებლად გადმოგვცემს თავისი გმირის შინაგან განცდებს, ამ ციხიკოსში, ყოველის უარმყოფელში მოულოდნელად დროებითი გრძნობის აფეთქებას. მსახიობი თავისი გმირის ყოველი გრძნობის ნიუანსს გადმოგვცემს, გვიჩვენებს ამ ხასიათის განვითარებას.

როგორც აღვნიშნეთ, სარეცენზიო სპექტაკლში ჩვენ ვერ ვნახეთ ზოგიერთი მთავარი როლის შემსრულებელთა პირველი შემადგენლობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვით სპექტაკლი და მასში მონაწილე მსახიობები უთუოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ. სპექტაკლს შეეყოფათ ინგლისელი მწერლის „ცხოვრების ვნებათა სარკის" სამყაროში, რომლის ძირითადი აზრი გამოთქმულია ლედი უინდერმიერის სიტყვებით: „საკუთარი დამშვიდებისათვის ცხოვრების ნახევარზე თვალის მოხუჭვა იგვეა, რაც თვალდახუჭული სიარული უფსკრულებსა და ჭაობებს შორის ის რწმენით, რომ შეძლებ გვერდის აცილას".

დიახ, პურიტანიზმი, ცხოვრებისაგან გათიშვა, უკომპრომისობა ადამიანთა ურთიერთობაში, გულცივობა და მიუკარებლობა ესეც ხომ თავისებური პარადოქსია უაილდისათვის, რომელსაც ასე უყვარდა ცხოვრება და ადამიანი მთელი თავისი მოჩვენებითი სკეპტიციზმის მიუხედავად და რაც ასე კარგად გადმოგვცა თავის სპექტაკლში მცირე თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა.

ნადეჟდა შალუტაშვილი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან — „ლედი უინდერმიერის მარაო". ლედი უინდერმიერი — მსახიობი ნ. კორნიენკო, ლორდ დარლინგტონი — რსფსრ დამსახურებული არტისტი ვ. კენიგსონი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

... ხელოვნება

პოეტები სტუდენტებთან

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დიღმაში შეხვედრა მოუწყეს პოეტ-აკადემიკოსებს **გიორგი ლეონიძეს** და **ირაკლი აბაშიძეს.**

პოეტების შემოქმედებაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ინსტიტუტის მანქანათა რემონტის კათედრის გამგე, დოცენტი ი. თუშიშვილი და ქართული ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი ლ. ანთაძე.

პოეტებმა მადლობა გადაუხადეს შეხვედრის მომწყობთ და მონაწილეთ, შემდეგ კი წაიკითხეს ახალი ლექსები.

საგასტროლოდ ერევანში

ერევანი. (საკადესის კორ.). სომხეთის დედაქალაქში, კ. ს. სტანისლავსკის სახელობის რუსული დრამატული თეატრის შენობაში, დიდი წარმატებით მიმდინარეობს თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრის გასტროლები. მომმე რესპუბლიკის დედაქალაქიდან ჩამოსულმა სტუმრებმა უკვე დადგეს სპექტაკლები გ. სუნდუკიანის „ხათაბალა", უ. შექსპირის „მეთორმეტე ღამე", და ს. ხანზადიანის რომანის „მხიარულ სპარაპეტის" ინსცენირება.

თბილისის თეატრის პირველ სპექტაკლს ეხვრეოდნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ზარობიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ხ. არუთინიანი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ო. მ. ბაღდასარიანი.

ხალხური შემოქმედების დათვალიერება

ცაგერი. (საკ. კორ.). სამ დღეს მიმდინარეობდა დრამატული კოლექტივების შემოქმედების დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის საუკეთესო მხატვრული დასები და ცალკეული შემსრულებლები.

მაყურებელთა საერთო მოწონება ხვდა ცაგერის სახალხო თეატრის კოლექტივს, რომელსაც ციურის გადაწყვეტილებით პირველი ადგილი მიეკუთვნა. მეორე საპრიზო ადგილი მიერაპა ლასურიაშის კულტურის სახლის დასმა, ხოლო მესამე — ზოგიშის საკოლმეურნეო კლუბმა; გამოელინდნენ აგრეთვე ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლები.

საგასტროლოდ ერევანში

რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების სახელით სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. ხ. შაგინიანი და გ. სუნდუკიანის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ვ. აჯემიანი.

შეხვედრა სცენის ოსტატებთან

ხაშურის რაიონის მშრომელებმა რკინიგზის კულტურის სახლში შეხვედრა მოუწყეს სსრ კავშირის სახალხო არტისტა ვერიკო ანჯაფარიძეს, რესპუბლიკის სახალხო არტისტებს ალ. ჟორჟოლიანს, ხ. თაყაიშვილს და რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ე. მაღალაშვილს.

შეხვედრის დასასრულს ქართული სცენის ოსტატებმა წარმოადგინეს ნაწყვეტები „შედევადან", „ურიელ აკოსტადან" და „გორგი საკაძიდან".

ლ. კაკიაშვილი.

შემთხვევითი

ოლია მეხუთე სართულიდან ვარდეგა

ეს მოხდა დილით კრასნოიარსკის ერთ-ერთ ქუჩაზე. მედიცინის და ლარისა შალაუროვა სამუშაოზე მიიჩქაროდა ბავშვთა პოლიკლინიკაში. პოლიკლინიკის ახლოს იგი შეაჩერა ბავშვის ყვირილმა, რომელიც სადღაც ზემოდან ისმოდა. ლარისამ მაღლა აიხედა და დაინახა, რომ მეხუთე სართულის აივანზე, მოაჯირის გარეთა მხარეს ეკიდა ყვავილების ყუთს ჩაბღაუჭებული გოგონა.

— პაწიავ, ხელი არ გაუშვა! — შესძახა შალაუროვამ. მან სთხოვა სახლის მცხოვრებლებს დამოეგდოთ რამდენიმე სბანი. შალაუროვას დაეხმარნენ გამელილნი და მობინადრენი, ხელი ჩასჭიდეს სბანების კუთხეებს. დაჯიმეს და გაიკეთეს „საშველი მოედანი", რომელზეც ჩამოვარდა გოგონა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ლარისა შალაუროვამ თავის პოლიკლინიკაში გასინჯა პატარა პაციენტი ოლიჩკა ვოროპაევა. იგი თავს ძალიან კარგად გრძნობდა და მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ქუდი დაკარგა. დედა ერთი წუთით რომ გასულა ოთახიდან, ოლიას თურმე იმ დროს დაუწყია ქალალდის თვითმფრინავების გაშვება აივნიდან, ერთ-ერთ მათგანს გადასწვდომია და მოაჯირზე გადავარდნილა.

ოლია ვოროპაევას მშობლებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს ლარისა შალაუროვას ბავშვის გადარჩენისათვის.

ივან კაცერი.
აას-ის კორესპონდენტი.

... ლიტერატურული ... ...

პოეტები სტუდენტებთან

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დიღმაში შეხვედრა მოუწყეს პოეტ-აკადემიკოსებს **გიორგი ლეონიძეს** და **ირაკლი აბაშიძეს.**

პოეტების შემოქმედებაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ინსტიტუტის მანქანათა რემონტის კათედრის გამგე, დოცენტი ი. თუშიშვილი და ქართული ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი ლ. ანთაძე.

პოეტებმა მადლობა გადაუხადეს შეხვედრის მომწყობთ და მონაწილეთ, შემდეგ კი წაიკითხეს ახალი ლექსები.

... ...

... ...

... ...

ეს ერთმანეთს, სად ვსწავლობ

!

ცნობათა კუთხე

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამგზავნების სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1964-65 სასწავლო წლისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში შემდეგ სპეციალობებზე:

1. **აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საბუხჰალტრო.
2. **ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საბუხჰალტრო.
3. **ახიგვარის (გალის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საბუხჰალტრო.
4. **ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საბუხჰალტრო.
5. **ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული და ვეტერინარული (სომხურ ენაზე).
6. **ბათუმის (მწვანე კონცხი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და მცენარეთა დაცვა.
7. **ბაკურციხის (გურჯაანის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, აგროქიმიური, მეფუტკრეობა და საბუხჰალტრო.
8. **ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, აგროქიმია (ქართული სექტორი) და აგრონომიული (აზერბაიჯანული სექტორი).
9. **გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა, მცენარეთა დაცვა და საბუხჰალტრო.
10. **გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და აგრონომიული.
11. **გორაბერეჟოულის (ჩობატაურის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და საბუხჰალტრო.
12. **დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რაონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, აგროქიმიური, დეკორაციული მებაღეობა, საბუხჰალტრო და საგეგმო-საალრიცხვო.
13. **დუშეთის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** — ზოოტექნიკური და ვეტერინარული.
14. **ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით და აგრონომიული.
15. **ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, აგროქიმიური და საბუხჰალტრო.
16. **ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.
17. **თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.
18. **კულაშის** (სამტრედიის რაიონი) ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში — ვეტერინარული და ზოოვეტერინარული.
19. **ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.
20. **ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.
21. **სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მარტყოფის ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია.
22. **მაჩხაანის** (სიღნაღის რაიონი) ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში — ზოოტექნიკური და ვეტერინარული.
23. **მახარაძის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საბუხჰალტრო.
24. **ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით და საბუხჰალტრო.
25. **ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, აგროქიმიური, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საბუხჰალტრო.
26. **ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა, აგროქიმიური და ვეტერინარული.
27. **ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** აგრონომიული და საბუხჰალტრო.
28. **წინამძღვრიანთკარის (მცხეთის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით და აგროქიმიური.
29. **წალენჯიხის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** ვეტერინარული და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.
30. **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის წულუკიძის ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია.
31. **ხეთის (ზუგდიდის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და ზოოტექნიკური.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე:

1. **ბაკურციხის (გურჯაანის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობისა და სუბტროპიკული განხრის სპეციალობებით.
2. **კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** — ზოოტექნიკური და ვეტერინარული სპეციალობებით.
3. **სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის წულუკიძის ტექნიკუმში** — მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სპეციალობებით.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30-მდე წლის ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული ან სრული საშუალო სკოლის კურსი და წარმატებით ჩაბარებენ შესასვლელ გამოცდებს.

ჩარიცხვა! დროს უპირატესობა ეძლევათ კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მივლინებულებს და სულ მცირე ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირებს, აგრეთვე საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულებს, თუ მათ საბჭოთა არმიაში უმსახურიათ არანაკლებ ორი წლისა.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან წარმოებაში მომუშავე ორივე სქესის მოქალაქენი განუსაზღვრელად ასაკისა.

დასწრებულ განყოფილებაზე **განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე, მიხაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან, ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.**

დაუსწრებელ განყოფილებაზე **განცხადებები მიიღება 1 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე, მისაღები გამოცდები 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე, ჩარიცხვა 16 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე.**

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: **განცხადება, განათლების მოწმობა** (ატესტატი, დედანი) **ან საშუალო სკოლის 9, 10, 11 კლასში გადასვლის მოწმობა, ავტობიოგრაფია, ჯანმრთელობის მოწმობა** (ფორმა № 286), **ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან,** შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეებმა — **კოლმეურნეობის წიგნაკის ამონაწერი,** შემოწმებული გამგეობის მიერ, საწარმო-დაწესებულებების მიერ მივლინებულ პირებს უნდა ჰქონდეთ საწარმოო მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა და წარმოადგინონ ცნობა დადგენილი ფორმის მიხედვით. ტექნიკუმში შემსვლელი პირადად ადგეს დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგში მყოფი სამხედრო ვალდებული), ან მიწერის მოწმობას (წვევამდელი), სამ ფოტოსურათს (ზომით 3×4 სმ).

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (წერა), **მათემატიკაში** (წერა და ზეპირი); საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (წერა-თხზულება), **მათემატიკაში** (ზეპირი), **ქიმიაში** (ზეპირი).

ტექნიკუმში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია და ბინა საერთო წესით.

მეცადინეობა ყველა ტექნიკუმში დაიწყება 1 სექტემბერს.

თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პირველ და მესამე კურსებზე 1964-1965 სასწავლო წლისათვის

პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, მესამე კურსზე — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს.

ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოს ტოპოგრაფებს და გეოდეზისტებს.

პირველ კურსზე მისაღებ გამოცდებს აბარებენ არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით: ა). **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (წერა), ბ) **მათემატიკაში** (წერა და ზეპირი).

მესამე კურსზე მისაღებ გამოცდებს აბარებენ საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით: ა) **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (წერა — თხზულება), ბ) **მათემატიკაში** (წერა და ზეპირი).

მისაღებ გამოცდებზე დადებითი ნიშნის მიღების პირობებში **კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან:** ა) ის პირნი, რომლებსაც ექნებათ სულ მცირე 2 წლის სწარმოო სტაჟი, ბ) საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული პირები.

დარჩენილ ადგილებზე ჩარიცხვა მოხდება კონკურსის მიხედვით.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული, როგორც მისაღები გამოცდების ნიშნები, ისე სკოლის დამთავრების დოკუმენტში ნაჩვენები ნიშნებიც.

განცხადებები მიიღება 5 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. **განათლების მოწმობა** (დედანი), 2. **ავტობიოგრაფია,** 3. **დაბადების მოწმობის ასლი** (შემოწმებული ნოტარიუსის მიერ), 4. **საექიმო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ** (ფორმა 286), 5. **6 ფოტოსურათი** (3×4 სმ, შემოწმებული), 6. **სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი საბუთები,** შრომის წიგნაკიდან ამონაწერი, დადასტურებული საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ, კოლმეურნეთათვის — საკოლმეურნეო წიგნაკიდან ამონაწერი (შრომადღეების მინიმუმის აღნიშვნით), დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ), 7. **ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ,** 8. **დახასიათება-რეკომენდაცია,**

ტექნიკუმში გამოცხადებისას შემსვლელები პირადად წარმოადგენენ პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მისაწერ მოწმობას.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის თანახმად და საერთო საცხოვრებლით შესაძლებლობის ფარგლებში.

მეცადინეობა დაიწყება — მესამე კურსზე 1 სექტემბერს, პირველ კურსზე — 1 ოქტომბერს.

ტექნიკუმის მისამართი: ჭავჭავაძის პროსპექტი № 25, ტელეფონი 2-30-33.

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1964/65 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

დღის განყოფილებაზე: ინგლისური ენა; გერმანული ენა; ფრანგული ენა (ქართულ და რუსულ სექტორზე).

საღამოს განყოფილებაზე: ინგლისური ენა; გერმანული ენა; ფრანგული ენა (ქართულ და რუსულ სექტორებზე).

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: **ქართულ სექტორზე:** უცხო ენაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრკ ისტორიაში. **რუსულ სექტორზე:** — უცხო ენაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრკ ისტორიაში.

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმის მიხედვით და დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. **დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ** (დედანი), 2. **დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად,** გაცემული საკანასკნელი სამუშაო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საწარმოო დაწესებულებების, ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ. კოლმეურნეთა გამგეობის მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — პედაგოგიური საბჭოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ; საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი ადგენენ დახასიათებას სამხედრო ნაწილიდან. 3. **ამონაწერი შრომის წიგნაკიდან** (მუშაობის სტაჟის მქონე პირთათვის), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნეობის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობასთან ერთად დაწესებული შრომადღეებიდ მინიმუმი კოლმეურნეობაში მუშაობის ყოველი კალენდარული წლისათვის. 4. **ავტობიოგრაფია,** 5. **სამედიცინო ცნობა** (ფორმა № 286), 6. **ოთხი ფოტოსურათი** (უქუდოდ, ზომით 3X4)

ინსტიტუტში გამოცხადებისას შემსვლელნი პირადად ადგენენ პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედრო-ვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირები).

განცხადებები მიიღება 25 ივნისიდან 31 ივლისამდე, მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში (**ი. ჭავჭავაძის პრ. № 45**).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1964-65 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის I და III კურსზე.

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

I კურსზე მედდის სპეციალობით მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. **ქართულ ენაში** (წერა), 2. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (ზეპირი), 3. **მათემატიკაში** (ზეპირი).

III კურსზე საფერშლო სპეციალობით მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (წერა), 2. **მათემატიკაში** (ზეპირი), 3. **ქიმიაში** (ზეპირი).

სწავლის ხანგრძლივობა I კურსზე სამი წელი, ხოლო III კურსზე ორი წელი და 6 თვე.

სასწავლებელში შემსვლელს პირადად შემოაქვს განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. **განათლების მოწმობა** (დედანი), 2. **ავტობიოგრაფია,** 3. **სამი ფოტოსურათი** (გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ), 4. **ცნობა ჯანმრთელობის შესახებ** (ფორმა № 286, გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), 5. **პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას** დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედროვალდებულთათვის) და მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის), 6. **ამონაწერი შრომის წიგნაკიდან** (იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი), შემოწმებული დაწესებულების მიერ, კოლმეურნეობის წევრებისათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული იქნება კოლმეურნეებისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმის შესრულება ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული როგორც მისაღებ გამოცდებზე მიღებული შეფასება, ისე საშუალო არითმეტიკული—განათლების დოკუმენტში ნაჩვენები ნიშნებიდან.

მისაღები გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ვალდებულნი არიან პირველი სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკის დედანი. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხულ იქნებიან სასწავლებლიდან.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის საფუძველზე.

საბუთები მიიღება 31 ივლისამდე, საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე. სასწავლებლის მისამართი: თბილისი, პეტრაშვილის ქ. № 7, მეორე სამედიცინო სასწავლებელი ტელ. 9-81-47.

დირექცია.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის მე-5 სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1964-65 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის I და II კურსებზე

სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს ფერშალ-ლაბორანტის სპეციალობით.

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

I კურსზე მიიღებიან

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერა), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი). სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი.

II კურსზე მიიღებიან

სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება), მათემატიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი).

სწავლების ხანგრძლივობა — 2 წელი.

სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე პირადად შეაქვს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: 1) განათლების საბუთი (დედანი): I კურსზე შემსვლელთათვის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების ან IX, X, XI კლასში გადაყვანის მოწმობა. მეორე კურსზე შემსვლელთათვის კი სრული საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, 2) ავტობიოგრაფია, 3) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286, გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), 4) სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ), 5) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი), შემოწმებული წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეები წარმოადგენენ კოლმეურნეობის გამგეობის მიერ შემოწმებულ საკოლმეურნეო წიგნაკის ამონაწერს, სადაც აღნიშნული უნდა იყოს კოლწევრისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით და მისი შესრულება. 6) პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედროვალდებულთათვის) და მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის).

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული, როგორც მისაღები გამოცდების შედეგები, ისე განათლების დოკუმენტში ნაჩვენები ნიშნების საშუალო არითმეტიკული ქულა.

კონკურსგარეშე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს და აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი, აგრეთვე საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი. დანარჩენ ადგილებზე ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის წესით.

მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგად სასწავლებელში მუშაობის სტაჟით ჩარიცხული პირები, ვალდებული არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკის დედანი, წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხული იქნებიან სასწავლებლიდან.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები, არსებული წესის მიხედვით, უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

განცხადებები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე, 12 საათიდან 4 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მეცადინეობა იწარმოებს საღამოს 4 საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, კალინინის რაიონი, ალ. ჭავჭავაძის ქ. № 19, ტელეფონი — 3-33-67.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქების ქვემოთ ჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში

1. **მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში:** **კლასიკური ფილოლოგიისა და ეროვნულისტიკის სპეციალობებზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; **მათემატიკის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.
2. **მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში:** **ჰიდროენერგეტიკულ მოწყობილობათა სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში; **საკომპრესორო და სამაცივრო მანქანათა და დანადგართა სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში; **განათლების ტექნიკისა და სინათლის წყაროების სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სოხუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
3. **მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში:** **საავიაციო ძრავების სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სოხუმის, ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
4. **მოსკოვის გაუმაღნის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში:** **ნახევარგამტარული და ელექტროვაკუუმური მანქანამშენებლობის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სოხუმისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში; **გიროსკოპიულ ხელსაწყოთა და მოწყობილობათა სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.
5. **მოსკოვის საავიაციო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში:** **საავიაციო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში; სოხუმისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
6. **ლენინგრადის ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ინსტიტუტში:** **ოპტიკურ ხელსაწყოთა სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში; **ოპტიკურ-ფიზიკურ ხელსაწყოთა სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.
7. **ლენინგრადის ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების ტექნოლოგიურ ინსტიტუტში:** **ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.
8. **გორკის კოლიტექნიკურ ინსტიტუტში:** **გემების მშენებლობისა და შეკეთების სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სოხუმისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში; **გემებისა და ძალოვანი დანადგარების სპეციალობაზე და რადიოტექნიკის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
9. **ასტრახანის თევზის მეურნეობის მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში:** **საკომპრესორო და სამაცივრო მანქანებისა და დანადგარების სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სოხუმისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
10. **პენზის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:** **ზუსტი მექანიკის ხელსაწყოების სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სოხუმისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
11. **კუიბიშევის საავიაციო ინსტიტუტში:** **თვითმფრინავმშენებლობის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სოხუმის, ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
12. **კერძის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:** **ელექტროსაიზოლაციო და საკაბელო ტექნიკის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სოხუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
13. **რიგაზანის რადიოტექნიკის ინსტიტუტში:** **მათემატიკურ საანგარიშო-გამომთვლელი ხელსაწყოებისა და მოწყობილობათა სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.
14. **კიევის კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში:** **საფუარის წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში.
15. **კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:** **დიელექტრიკების და ნახევარგამტარების სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში; **ელექტრომზომელობის ტექნიკის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სოხუმისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
16. **ხარკოვის საავიაციო ინსტიტუტში:** **საავიაციო ძრავების სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სოხუმის, ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
17. **ხარკოვის საინჟინერო-ეკონომიურ ინსტიტუტში:** **აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა ბათუმის, სოხუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
18. **ხარკოვის იურიდიულ ინსტიტუტში:** **სამართლისმცოდნეობის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა ბათუმის, სოხუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
19. **ოდესის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:** **მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხებისა და მოწყობილობების სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.
20. **ოდესის კვებისა და სამაცივრო მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში:** **საკომპრესორო და სამაცივრო მანქანათა და დანადგართა სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სოხუმის, ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში; **მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში; **ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში.
21. **ოდესის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში:** **სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სოხუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში; **რადიომოწყობილობისა და რადიოკავშირის სპეციალობაზე.** მისაღები გამოცდები მოეწყობა სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

განცხადებები მიიღება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ქალაქ თბილისში); სოხუმის, ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის (ქალაქი ცხინვალი) პედაგოგიურ ინსტიტუტებში ა. წ. 30 ივლისამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-15 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სოხუმის, ბათუმის, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტებში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტში (**თბილისი, მთავრობის სახლი. VI სართული, ოთახი 41**).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრი

26 ივნისს

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოსაშვები საღამო, მახარაძის სახელმწიფო თეატრის გასტროლები მარჯანიშვილის თეატრის შენობაში — **უსაშველო მაშვლები,** გრიბოედოვის სახელობის — **ანა ფრანკის დღიური** (მე-4 აბონ. მე-10 წარმოდგენა), ფილარმონიის საბაფხულო — სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის გასტროლები — **კონსული მოიპარეს,** რუსთაველის სახელობის — **მთვარე ჩავიდა.**

ტელევიზია

27 ივნისს

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი", 18.55 — დოკუმენტური ფილმი „დუდუგარი ხასიათი", 19.25 — განცხადებები, 19.30 — „ჩვენი კონფერენციაა", 19.35 — კინონარკვევი „ცოცაბო კლდეების მცხოვრებნი", 19.45 — სატირულიუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი", 20.20 — მხატვრული ფილმი „ელენეს ყურე", 21.35 — ახალი ამბები, 21.50